



MES 4 20 0000659421



04/08/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20.07.2020

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **ეკა ევალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

9. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ნიკოლოზ კიკნაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქრისტიანე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სერგო ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	I- II
3	დავით ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I- II
4	ვახტანგ ჭარაია	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი და საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I- II
5	ანა ანანიაშვილი	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი პროფესორი	I- II
6	სოფო თევდორაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი	I- II
7	მაია უკლება	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I- II
8	გელა ალადაშვილი	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი	I- II
9	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალური	I- II

			მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	
10	თალიკო ჟვანია	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების განყოფილების უფროსი, პროფესორი	I- II
11	ინგა დიაკონიძე	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	უცხო ენების ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი	III
12	სიმონ თავართქილაძე	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	ბიზნესის მართვისა და ეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი	III
13	ნიკო კვარაცხელია	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
14	ბესო ალადაშვილი	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
15	დავით ვეკუა	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
16	ლაშა ტაბატაძე	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
17	ნათია ბადრიშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
18	მოგელი შენგელია	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
2	ნინო ზარნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
3	ლევან გოგოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
4	ნიკოლოზ ბაგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
5	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნატალია კვაჭანტირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამარ ხასიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ავიაციის ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირების“ სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
8		

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი N16.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ავიაციის ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ავიაციის ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	28.07.2015, N113
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი N16.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნიკა თიკანაშვილმა.

თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტა განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პანდემიის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგმარეობიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 21 მაისს.

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე გამოიკვეთა: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება;
2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „ინვესტიციების საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები“, სასწავლო კურსს „საგადასახადო საქმის საფუძვლები“ - სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვა“;
4. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება და კონტროლი, კერძოდ, ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდობის მართვა, მარაგებისა და საბრუნავი კაპიტალის მართვა, რეალური და დაგეგმილი ფინანსური შედეგების შედარება და ანალიზი;
5. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობის შემცირება და პროგრამის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებით გამდიდრება;
6. დასაზუსტებელია პროგრამის რა კომპონენტებით შეიძლება იყოს მიღწეული სწავლის შედეგი 1.3 „განსაზღვრავს ფინანსური მონაცემების შეგროვების და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით რაოდენობრივი ანალიზის და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების მნიშვნელობას პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. განმარტავს ეთიკის მნიშვნელობას და ორგანიზაციის გრძელვადიანი ფასეულობის მაქსიმიზაციის თანხვედრას სოციალურ პასუხისმგებლობასთან“. აღნიშნული სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლის შედეგები არ არის აღწერილი და ვთვლით, რომ ვერ მიიღწევა სასწავლო კურსებით, როგორიცაა „ინფორმაციული ტექნოლოგიები 1“, „კალკულუსი 1“, „კალკულუსი 2“.
7. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში მოხდეს საკონტაქტო საათების (პრაქტიკის ხანგრძლივობის, პრაქტიკის ობიექტზე მენტორთან გასატარებელი საათების, პრაქტიკის ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების) და კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობის მითითება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მოთხოვნების შესახებ პრაქტიკის მენტორების უკეთ ინფორმირებას.

8. რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული; -ეს რეკომენდაცია ეყრდნობა დასწებულების მხრიდან პრაქტიკის ანგარიშები, ამ ანგარიშების სმიხედვით შესრულებულ სამუშაოებში ნაკლებად იკვეთება პრაქტიკული დავალებების შესრულება ფინანსურ საკიტებზე. ერთადერთი რაც ფიქსირდება, მგზავრების დარეგისტრირება ხელით თუ სპეციალურ პროგრამაში, ბარგის დარეგისტრირება. შესაბამისად რეკომენდაცია უკავშირდება ამ საკითხს, რომ მკაცრად გაკონტროლდეს რა საქმიანობითაა დაკავებული სტუდენტი. ერთ-ერთ სტუდენტთან კომუნიკაციის დროსაც გამოიკვეთა აღნიშული.

9. რეკომენდებულია გაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან; - ასევე შეუძლია ჩაუთვალოს თუ კი მას აქვს სამუშაო გამოცდილება, დაწესებულების მხრიდან ფიქსირდება, რომ კონტოლდება, თუმცა ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ კონსულტანტად მუშაობა ჩაეთვალა პრაქტიკის კომპონენტად სტუდენტს.

10. რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;

11. რეკომენდებულია ფინანსების საბაკალვრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;

12. რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა; - შეიძება უფიქსირდებოდათ ძლიერი პრაქტიკული გამოცდილება თუმცა იხელმძღვანელებს სტანდარტებით, სადაც კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აკადემიური საქმიანობით. მათი სტატუსი შეიძლება იყოს მოწვეული და არა აკადემიური პერსონალი.

13. რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;

14. რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;

15. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულია ფინანსების საბაკალვრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;

16. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი მოსაზრება:

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ჭარაიამ განმარტა, რომ საკმაოდ ბევრი რეკომენდაციაა გაცემული და პირველ რიგში ისაუბრებს პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის საკითხზე. საბჭოების მიმდინარეობისას გამოიკვეთა თითქოს, რომ მას არ აქვს სათანადო შესაძლებლობა იყოს ფინანსების მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელი.

მან ფართოდ ისაუბრა მის მიღწევებსა და აქტივობებზე, რომ გამოიკვეთა მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა განსახილველ პროგრამასთან.

ეკონომიკის საკითხზე აქვს დაცული სადოქტორო ნაშრომი ფინანსების მიმართულებით, რაც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფინანსური პროფილის საერთაშორისო ფორმატის საკითხებში მონაწილე.

სამაგისტრო დონეზე ლატვიაში სწავლის დროს ფინანსების კუთხით აქვს აქტივობები. დაფინანსების კუთხით აქვს რამდენიმე გრანტი აღებული, ერასმუსის დაფინანსებით, ევროპის ქვეყნებში, სხვადასხვა კონტინენტებზე, ჩინეთში, პერუში, წაიუკითხავს ლექციები.

არის სავალუტო ფონდის ახალგაზრდა მკვლევარი, რაც გულისხმობს, რომ მთელი მსოფლიოდან 20 ადამიანს ირჩევენ ახალგაზრდა მკვლევარის პოზიციაზე და მათ შორის ისიც არის. სავალუტო ფონდმა აღიარა საუკეთესოდ და ეს სტატუსი მიანიჭა, ყოველწლიურად იწვევენ შეხვედრებზე, 2019 წელს ვაშინგტონის შეხვედრაზე იყო მიწვეული, სადაც მიიღო მონაწილეობა არაერთი ფინანსური საკითხის განხილვაში. საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის წოდება მიენიჭა. არის მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიაში არის ახალგაზრდა მეცნიერი, ასევე, არის საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდში მთავარი ანალიტიკოსი, კითხულობს საფინანსო პროფილის საგნებს, ფინანსური მენეჯმენტი, საერთაშორისო ფინანსები, სტრატეგიული ფინანსები.

არის პრემიერ-მინისტრის საკოორდინაციო საბჭოში, იწვევენ ოფიციალურ შეხვედრებზე. კიდევ შეუძლია გააგრძელოს, მაგრამ ფიქრობს, რომ კითხვები აღარ იქნება ფინანსებთან მის კავშირზე.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 18 რეკომენდაციიდან 2 რეკომენდაციას იზიარებენ, ეს არის რეკომენდაცია 3 და 10 მაგალითად, მემორანდუმში უნდა იყოს მითითებული თუ რამდენ სტუდენტს მიიღებენ. მიაჩნიათ, რომ ათი რეკომენდაცია არარელევანტურია, მაგალითად, რეკომენდაცია 12, რომელზეც საუბარი არის, რომ რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა. გამოდის, რომ ისეთ პროფესორზე აკეთებენ აქცენტს, რომ არაა შესაბამისობაში, მხოლოდ იმის გამო, რომ პუბლიკაცია არ აქვს, რომელსაც აქვს უზარმაზარი პრაქტიკული გამოცდილება. მაგალით ბატონი ც.ი-ს კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია იმ სასწავლო კურსების სპეციფიკასთან, რომელსაც ის ამჟამად და ახალი პროგრამის ფარგლებშიც აპირებს, რომ გაუძღვეს. მას აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომი დალასის უნივერსიტეტიდან (აშშ) და დიპლომიც თანდართულია, მას აგრეთვე გააჩნია უზარმაზარი, მრავალწლიანი გამოცდილება მართვის მიმართულებით, რომელიც აგრეთვე მითითებულია CV-ში, მას გააჩნია არაერთ პროექტში წამყვან პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებაც. შესაბამისად ეს არის არარელევანტური რეკომენდაცია. რეკომენდაცია 8-ს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა არის ახალი და პროგრამას შეუძლებელია ჰყოლოდა სტუდენტები და მით უმეტეს გაკონტოლებულიყო. ის სტუდენტები ვინც ექსპერტთა ჯგუფს შეხვდა იყვნენ მომიჯნავე პროგრამებიდან და ისინი რასაც აკეთებდნენ იყო იმ პროგრამის შესაბამისი, სადაც ირიცხებოდნენ. რეკომენდაციაში, რომ წერია ის თუ რატომ არ აქვთ გაკონტოლებული ჰქონია, რომ არასწორია.

რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას, თითოეული ის საკითხი რაც დასკვნაშიც მითითებულია უკვე ისწავლება, **ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდობის მართვა,**

იხილეთ კორპორაციათა ფინანსების სილაბუსის, **თემა 2 და თემა 3.**

- **თემა 2.** კორპორაციის ფინანსების მართვა: ფინანსების მართვაში გამოყენებული ინფორმაცია და მისი როლი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში; ფინანსური ანგარიშგება, ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.
- **თემა 3.** ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება: ფინანსური ანალიზი (ამ საკითხში მოცემულია: ლიკვიდურობაც, მისი მაჩვენებლების გამოთვლაც, გადახდისუნარიანობაც, მომგებიანობაც და ა.შ.) და პროგნოზირება კორპორაციის მართვის სისტემაში; კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის (აქაც იგივე) არსი და დანიშნულება; ფინანსების მართვა და ფინანსური ანალიზი.

მარაგებისა და საბრუნავი კაპიტალის მართვა,

- იხილეთ მმართველობითი აღრიცხვის სილაბუსის: **თემა 5.**
- იხილეთ ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლების სილაბუსი: **თავი 12.**
- იხილეთ ფინანსური აღრიცხვის სილაბუსი: **თემა 3.**

რეალური და დაგეგმილი ფინანსური შედეგების შედარება და ანალიზი;

იხილეთ კორპორაციათა ფინანსების სილაბუსის: **თემა 4, თემა 6, თემა 8 და თემა.**

სამი რეკომენდაციაა წინააღმდეგობაშია საკუთარ თავთან, კერძოდ, პირველი, მეთოთხმეტე და მეჩვიდმეტე.

მეჩვიდმეტე რეკომენდაციას რაც შეეხება, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წერს, რომ: „პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. რაც შეეხება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების გაანალიზებას და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენებას, აღნიშნული მექანიზმი ჯერ არ არის ამოქმედებული და მისი განხორციელება იგეგმება სამომავლოდ.“

კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია, ისევე როგორც მრავალი სხვა რეკომენდაცია წინააღმდეგობაშია კომისიის დასკვნებთან; მათ მიერვე წარმოდგენილი ფაქტები წინააღმდეგობაშია მათივე რეკომენდაციებთან.

ამასთან ერთად, უნივერსიტეტში არსებულ სხვა ყველა პროგრამაზე სტუდენტთა აკადემიური შეფასება ტარდება და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა გასაუბრების დღეს, მოთხოვნისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მიუთითა, რომ ყველაფერი რაც დაწერილია დასკვნაში გამომდინარეობს დაწესებულების მიერ მითითებული ინფორმაციიდან. მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ სთხოვეს ჰქონდათ თუ არა რაიმე ჩარჩო დოკუმენტი რაზეც მიიღეს პასუხი „არა“.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიუთითა, რომ თანდართული არის დოკუმენტაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ყველაფერი დაწესებულებას აქვს, მექანიზმი არსებობს, მაგრამ არ არის ციფრები რადგან სემესტრი არ არის დამთავრებული და ბუნებრივია ჯერ ეს ვერ ექნებათ.

მე-16 რეკომენდაციას რაც შეეხება, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წერს, რომ: „ინტერვიუს პროცესში იყო აღნიშნული, რომ მუშაობის პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თუმცა აღნიშნული პროცესიც არაფორმალიზებულია და შესაბამისად, აღნიშნული ანალიზის შედეგებიც არ არის დოკუმენტირებული. რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.“

აღნიშნული ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება და უნივერსიტეტმა კომისიის მოთხოვნისთანავე წარადგინა აღნიშნული დოკუმენტი არსებობს ამის მტკიცებულებებიც.

რეკომენდაცია პირველი და მეჩვიდმეტე არის ერთიდაიგივე, ანუ პრობლემა არის რეკომენდაციების დუბლირებასთან. რეკომენდაცია 13 და 18 არის იდენტური. რეკომენდაცია 18 მართალია ჩამონათვალში არაა მაგრამ კონკრეტულ სტანდარტში წერია.

ექსპერტმა განმარტა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ არ იცის რატომ მიიჩნიეს, რომ არ უნახავთ, პირიქით, რომ ნახეს სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს რეკომენდაციაში ჩაწერა, პრაქტიკულ გამოცდილებას არ უარყოფენ. უბრალოდ საუბარია იმაზე, რომ აკადამიურ და მოწვეულ პერსონალს განსხვავებულად უდასტურდება კვალიფიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონი აღნიშნულს არ მოითხოვს. ესპერტმა დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში სტანდარტით იხელმძღვანელეს.

ექსპერტმა განმარტა, რომ რამდენჯერმე იყო ის მოსაზრება გამოთქმული, რომ პროგრამა იყო ახალი. ინფორმაცია რაც ჰქონდათ უბრალოდ მოდიფიცირება განხორციელდა და სწორედ ამიტომ არის ახალი, თუმცა ის არის საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამის მემკვიდრე, ამიტომ მთლად მომიჯნავეთაც არ განიხილება ეს პროგრამა, უბრალოდ შეეცვალა კვალიფიკაცია. მეორე მართლა, რომ სულ ახალი იყოს, ექსპერტთა ჯგუფს აქვს მოთხოვნა, რომ შეხვდეს მომიჯნავე სტუდენტებს, რა არის იდეა თუ ამის მიხედვით არ გააკეთეს დასკვნები. მათ იხელმძღვანელეს იმით, რომ თუნდაც ახალი იყოს ჰქონდეთ გარკვეული დასკვნების გამოტანის უფლება.

დუბლირებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს არ არის მექანიკური შეცდომა, ის რომელი რეკომენდაციებიც აღინიშნა, რომ მეორდება. განმარტება მიიღეს, რომ რადგან ქვესტანდარტები კვეთენ ერთმანეთს რეკომენდაციები ქვესტანდარტებში შესაძლებელია გამეორდეს.

სიტყვასიტყვით რაც მეორდება არ გადაიტანეს რეკომენდაციების ჩამონათვალში, სწორედ ამიტომ აღნიშნეს ეს რეკომენდაციებში რამდენიმე ქვესტანდარტში. რაც შეეხება სხვადასხვა ფორმულირებით გატანას ჩამონათვალში, სწორედ იმიტომ, რომ პირველი ქვესტანდარტი ითხოვს იმის დადგენას რამდენად ითხოვს გათვალისწინებას და ქვევით ხარისხის კუთხით ერთი, რომ არ ხორციელდება და მეორე ხარისხი არ ახდენს ამის მონიტორინგს. შესაბამისად გაიმეორეს ეს რეკომენდაცია იმ ფორმით, რომ მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთია, რა წერია და მეორე როგორ ხორციელდება, ერთი მხრივ დაწესებულება ლოგიკურად მსჯელობს თუ რაღაც არ არის განხორციელებული შესაბამისად მისი რეალური განხორციელების შემოწმება რთულია.

ექსპერტმა განმარტა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებით არ არის გაწერილი რამდენი კვირა უნდა დაეყოს კვირაში რამდენი საათი, ეს არ არის სილაბუსში აღწერილი, მართალია ნაკლები პრობლემაა ამის ფორმალიზება. ვერ დაინახეს ეს სტუდენტებთან გასაუბრების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრება ამ შემთხვევაში რელევანტური ვერ იქნება, რადგან იმ პროგრამას პრაქტიკის კომპონენტი არ ჰქონიათ. ორ კვირიან პრაქტიკას რაც შეეხება, განმარტა, რომ ახლანდელ პროგრამაში პრაქტიკის პერიოდი არის ერთი სემესტრი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა, მადლობა გადაუხადა წინასწარ პასუხისთვის პროგრამის ხელმძღვანელს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და იკითხა, ბიზნესის ადმინისტრირებაში ფინანსების მთავარი მიმართულებები რა არის? მაგალითად კორპორაციული ფინანსები, ფინანსური მათემატიკა, ეს არის მთავარი მიმართულებები, საინვესტიციო პოლიტიკა კლასიკური გაგებით არ არის, საინვესტიციო პოლიტიკა უფრო მეტად არის პოლიტიკის შემქმნელი მეცნიერება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საინვესტიციო პოლიტიკა საგნის დონეზე, ბაკალავრიატზე ესეთი საგანი არ უნდა ჰქონდეთ.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ არ უთხვამს, რომ მათ აქვთ ეს საგანი სხვა რამ იგულისხმეს, შემდეგ დასძინა, რომ გასაგებია.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ, შეჯამების სახით განმარტა, რომ დაწესებულებას ცალსახად ეთანხმება იმაში, რომ თუ ლექტორს აქვს პრაქტიკული გამოცდილება, დაწერა თუ არა სტატია ეს უკვე ფორმალური მომენტია. ჯობია პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდეს, ვიდრე 5 გვერდიანი

სტატია დაწეროს. რაც შეეხება 18 კრედიტიან პრაქტიკას, აღნიშნული ზუსტად უნდა იყოს გაწერილი. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას დაახლოებით იგივე გულისტიკივითი აქვს, რაც წინა პროგრამაზე იყო, ავიაციის „ქეისები“ ნაკლებად არის გათვალისწინებული, იგივე ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტი, ყველაფერია ჩამოთვლილი და დიდ საკითხად არ არის მაგალითად ლიზინგის საკითხები, არამატერიალური აქტივები. ძირითადად მნიშვნელოვანია, რომ ავიაციასთან დაკავშირებული „ქეისები“ ჰქონდეთ, იგივე ფასიანი ქაღალდების მიმართულებითაც.

თუ უნდათ კარგი ფინანსისტი გაზარდონ ბისნესის სისტემური ცოდნა მნიშვნელოვანია და რა თქმა უნდა, სტატისტიკა გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს. სავალუტო ფონდი არავითარ ავტორიტეტს ბიზნესის მიმართულებით არ წარმოადგენს. ის უფრო სხვა მიმართულებით მუშაობს. სავალუტო ფონდი არის ეროვნული ბანკის ბანკირი, მისი ღრმა რმენით ევროპის რეკონსტრუქციის ბანკში, მსოფლიო ბანკში გაცილებით მეტი ფინანსური, საინვესტიციო ცოდნაა საჭირო ვიდრე სავალუტო ფონდში. თხოვნა, რჩევა, იქნება, რომ საავიაციო მიმართულებები გააძლიერო. ასევე, მისი თხოვნაა ლექტორების მიმართ, რომ უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშაონ სილაბუსები და არა სტანდარტული სილაბუსები. ფინანსების გაძლიერების კუთხით რჩევა ცალსახად გასათვალისწინებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახლა რა პროგრამაზეც საუბრობენ ეს არის ფინანსების პროგრამა და სახელი არ არის დაკავშირებული ავიაციასთან.

გიორგი თურქიამ განმარტა, რომ თავად უნდა გადაწყვიტონ რომელს ირჩევენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რადგან ფართო ცოდნის მიმცემია ბაკალავრიატი გადაწყვიტეს, რომ ზოგადი კუთხით წასულიყვნენ და მაგისტრატურაზე უკვე სპეციალიზაცია ხდებოდა. სავალუტო ფონდს რაც შეეხება, ის მსოფლიო ბანკის ნაწილია ესენი ერთად მოქმედებენ.

გიორგი თურქიამ დაამატა, რომ სავალუტო ფონდი ამ მიმართულებით არ არის ავტორიტეტი. სხვა მიზნები აქვს.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ კვალიფიკაციის დასახელება არის გასასწორებელი და, რომ მოინიშნონ გასასწორებლად. დაწესებულება დაეთანხმა. საბჭოსგანაც ჩანს, რომ უმჯობესია მიმართულება იყოს ინსტიტუციასთან ახლოს, ანუ ავიაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს თავის მისიაში აქვს ჩადებული, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები ჰქონდეს და ტექნიკურად ამის საშუალება ეძლევა, მაგრამ როგორც პოზიციონირებს უნივერსიტეტი მაინც არ არის მიზანშეწონილი, რომ წმინდათ ავიაციისგან მოშორებით ვისაუბროთ პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი მისია არის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამების განვითარება, ასევე ბაკალავრიატი უფრო ზოგადი ფორმით უნდა ყოფილიყო, ასევე სტუდენტებს სხვადასხვა პროგრამებიდან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლიათ, რომ აირჩიონ ავიაციასთან დაკავშირებული საგნები.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

1. რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება;

2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შნაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;

3. რეკომენდებულია გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების პირობები როგორც პროგრამის ტექსტში, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს მისაღებ კანდიდატთა შეცდომაში შეყვანა;
4. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსების სფეროსთვის მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძრავი ქონების შეფასება, ბიზნესის შეფასება;
5. რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვთვლით, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსებში მეტად ინტენსიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართულენოვანი უახლესი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი;
6. რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული;
7. რეკომენდებულია გაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან;
8. რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;
9. რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
10. რეკომენდებულია მეტად მიექცეს ყურადღება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს;
11. რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა;
12. რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;
13. რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;
14. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
15. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით

ნიკა თიკანაშვილმა პრაქტიკასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი, აუცილებლად პრაქტიკის ანგარიშის წარმოდგენის დროს, ჩათვლა ხდება შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ. თუ სტუდენტმა შესაბამისი სამუშაოები შეასრულა და სწორედ შეფასების შედეგად ხდება პრაქტიკის ჩათვლა.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა კომენტარი გააკეთა, რომ საუბარი არის არაა ზოგადად აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ იმ კონკრეტულ შეფასების მეთოდზე რომლითაც ესა თუ ის შედეგი იზომება. მნიშვნელოვანია თითოეული სწავლის შედეგი ფასდება თუ არა რელევანტური მეთოდით. აქედან გამომდინარე დიდი ყურადღება ეთმობა კურიკულუმის რუკას, ზუსტად იმ კომპონენტებში სადაც ხდება შედეგის განმტკიცება, ამაზე ბევრი ისაუბრეს წინა საბჭოზეც და იმედია დაწესებულება ამას გაითვალისწინებს. მისი რჩევაა გადახედონ კურიკულუმის რუკასაც და პროგრამის მიზნის და სწავლის შედეგების რუკასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ აკავშირებს 3.1 შედეგთან, ანუ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან, კარგი იქნება თუ გადახედავენ მიზანს, მიზანში დაკონკრეტებული უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნა და უნარები, არამედ ის უნარებიც რასაც პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ჰქვია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით გამოდიან იქიდან, რომ რომელი საგნით გადიან იმ კონკრეტულ მიზანზე, იგივე პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში ზოგი სილაბუსი საერთოდ არ გადის ზოგი გადის, მაგალითად პრაქტიკის ნაწილი. რადგან ახალი არის ეს პროგრამა სასარგებლოა ეს რჩევები.

თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, რომ ეს უნარი ვინაიდან უკვე აქვთ ჩადებული მოკლედ უნდა იყოს, რომ ამ კომპეტენციაზე გადიან და ეს უნდა დასტურდებოდეს შედეგით. კარგი იქნება თუ ამ ნაწილში გადახედავენ.

დამსაქმებელი გიორგი ინასარიძე შემოურთდა სხდომას, რომელიც არის ორი ავიაკომპანიის წარმომადგენელი. მან ისაუბრა პრაქტიკის კომპონენტზე. მათ ინტერესებში არის, რომ კადრები მომზადდეს მაღალკვალიფიციური. განმარტა, რომ შესაძლებლობით შეუძლიათ 10 სტუდენტის პრაქტიკაზე მიღება, თუმცა მათთვის ოპტიმალური არის 5-7 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ იკითხა თუ რამდენი ფინანსისტი ჰყავდა დასაქმებული კომპანიაში, აქედან რამდენ სტუდენტს ასაქმებენ ყოველწლიურად და სამომავლოდ თუ გეგმავენ გაგრძელებას.

დამსაქმებელმა უპასუხა, რომ კომპანია არის 2 წლის და ამ ეტაპისთვის დასაქმებული არის 6 სპეციალისტი. ასევე, ის, რომ მზარდი კომპანიაა და ფინანსების კუთხით აქვთ დეფიციტი, ყოველწლიურად და სამომავლოდ დაახლოებით ყოველწლიურად 2 ან 3 კურსდამთავრებულის დასაქმებას ფიქრობს.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დააზუსტა, რომ სტუდენტების პრაქტიკაზე აყვანა გარკვეულ დანახარჯებთანაა დამსაქმებლისთვის დაკავშირებული და წინა მსჯელობიდან გამომდინარე მათთვის ეს ფინანსური დანახარჯი რამდენად ღირებულია.

დამსაქმებელმა განმარტა, რომ ისინი სწორედ კადრებში თანხის ჩადებასა და კვალიფიკაციური კადრების აყვანაზე არიან ორიენტირებულები. მან ასევე განმარტა, რომ მათთვის ძალიან ღირებულია დარგის სპეციალისტები, რომლებსაც საავიაციო უნივერსიტეტი ამზადებს და წახალისების კუთხითაც არიან მომართულები, კერძოდ დადგენილი აქვთ სახელობითი სტიპენდია დაწესებულების სტუდენტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეჯამების სახით განმარტა, რომ შეიძლება ეს სასწავლებელი „გაპიარებული“ არ არის მაგრამ სხვა მხრივ ყველაფერი უმაღლეს დონეზე არის გაკეთებული, ამას ჭირდება მეტი პოპულარიზირება, მისი დაწესებულებაში მისვლის მიზანიც ესაა. ჰყავთ ძალიან ბევრი ავტორიტეტული დამსაქმებელი პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე და მნიშვნელოვანი რესურსები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:23

დასრულების დრო: 16:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

- საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება;

ბ) რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;

გ) რეკომენდებულია სასწავლო კურსს „ინვესტიციების საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები“, სასწავლო კურსს „საგადასახადო საქმის საფუძვლები“ - სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვა“;

დ) რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება და კონტროლი, კერძოდ, ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდობის მართვა, მარაგებისა და საბრუნავი კაპიტალის მართვა, რეალური და დაგეგმილი ფინანსური შედეგების შედარება და ანალიზი;

ე) რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტი იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მასში გამოყოფილი იყოს ის ძირითადი მიმართულებები რასაც უნდა გადიოდეს ყველა პრაქტიკის მონაწილე. ასევე, რეკომენდებულია პრაქტიკის კრედიტების მოცულობის შემცირება და პროგრამის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებით გამდიდრება;

ვ) დასაზუსტებელია პროგრამის რა კომპონენტებით შეიძლება იყოს მიღწეული სწავლის შედეგი 1.3 „განსაზღვრავს ფინანსური მონაცემების შეგროვების და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით რაოდენობრივი ანალიზის და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების მნიშვნელობას პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. განმარტავს ეთიკის მნიშვნელობას და ორგანიზაციის გრძელვადიანი ფასეულობის მაქსიმიზაციის თანხვედრას სოციალურ პასუხისმგებლობასთან“. აღნიშნული სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლის შედეგები არ არის აღწერილი და ვერ მიიღწევა სასწავლო კურსებით, როგორიცაა „ინფორმაციული ტექნოლოგიები 1“, „კალკულუსი 1“, „კალკულუსი 2“.

ზ) რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში მოხდეს საკონტაქტო საათების (პრაქტიკის ხანგრძლივობის, პრაქტიკის ობიექტზე მენტორთან გასატარებელი საათების, პრაქტიკის ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების) და კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის

დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობის მითითება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მოთხოვნების შესახებ პრაქტიკის მენტორების უკეთ ინფორმირებას.

თ) რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული;

ი) რეკომენდებულია გაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაში შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან;

კ) რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;

ლ) რეკომენდებულია ფინანსების საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;

მ) რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა;

ნ) რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;

ო) რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;

პ) რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულია ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;

ჟ) რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3² პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ორი წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

მეორე საკითხზე კენჭისყრაზე და გადაწყვეტილების მიღება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ავიაციის ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

• საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება;

ბ) რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;

გ) რეკომენდებულია გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების პირობები როგორც პროგრამის ტექსტში, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს მისაღებ კანდიდატთა შეცდომაში შეყვანა;

დ) რეკომენდებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვა და განახლება. პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია ისწავლებოდეს ფინანსების სფეროსთვის მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები როგორიცაა: უძრავი ქონების შეფასება, ბიზნესის შეფასება;

ე) რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, შესაძლებელია სასწავლო კურსებში მეტად ინტენსიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართულენოვანი უახლესი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი;

ვ) რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული;

ზ) რეკომენდებულია გაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან;

თ) რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;

ი) რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;

კ) რეკომენდებულია მეტად მიეცეს ყურადღება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს;

ლ) რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა;

მ) რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;

ნ) რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;

ო) რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;

პ) რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3² პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ავიაციის ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ერთი წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

3. მესამე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 7 დეკემბრის N199 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0101, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ. 5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა დევიძემ განმარტა, რომ 2018 წელს ვიზიტი როდესაც განხორციელდა, ერთ-ერთი მონაწილე თავადაც იყო. პროგრამაში გათვალისწინებულია ის რეკომენდაციები, რომლებიც 2018 წელს იყო გაცემული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციაზე, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის 5 სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმძღვნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან. დაგრობილი ინგლისური კი გამოიყოს, როგორც ცალკეული სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინგა დიაკონიძემ აღნიშნა, რომ დაეთანხმნენ რეკომენდაციას, რომ ცალკე გამოყონ დარგობრივი ენის კომპონენტი. მაგრამ ახსნის რატომ იყო ისე, როგორც იყო. საერთო ევროპული ჩარჩო აძლევს საშუალებას, რომ ეს ისწავლებოდეს ინტეგრირებულად. თუმცა უკეთესი შედეგების მისაღწევად ცალკე გამოყოფაც მისაღები იქნება. შესაბამისად, იზიარებენ ამ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, პროგრამის „კონტენტს“, როგორც გაენო საბაკალავრო ნაშრომი აქვთ, ვერ ნახა კვლევის მეთოდოლოგიის რა მიმართულებას ავითარებენ, შეიძლება ვერ ნახა და რომ განმარტონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ოკრიბამ განმარტა, რომ აქვთ შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს როგორ უნდა შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომი, მომზადდეს, როგორ დაინიშნოს ხელმძღვანელი, როგორ ენიჭება კრედიტები, ქულები, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგები და ა.შ ასევე ეს საბაკალავრო სილაბუსშიც არის გაწერილი. რაც შეეხება მეთოდოლოგიას ტურიზმის კვლევის მეთოდებზე თითოეული ხელმძღვანელის ვალდებულებაა რაოდენობრივი თვისობრივი მეთოდებთან დაკავშირებით სტუდენტების მომზადება, რაც ხორციელდება პირველი კვირის ორი კვირის მანძილზე რაც წინ უძღვის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რაიმე საგანი ხომ არ აქვთ კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ აქვთ ასეთი საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ ილნიშნა, ხომ არ აჯობებდა ასეთი საგნის პროგრამაში ჩასმა.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ იკითხა, რომ ერთ-ერთი არჩევითი კურსი აქვთ Field Research (საველე კვლევა), როგორ აპირებენ ამ კურსის განხორციელებას თუ სტუდენტებს არ აქვთ კვლევის უნარები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საველე კვლევა არის პრაქტიკული კვლევა, დიდი გამოწვევის წინაშე არიან ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ. კვლევის მეთოდები საბაკალავრო დონეზე ნამდვილად აქვთ ამის შესაძლებლობა, რომ გაითვალისწინონ და შეუძლიათ მოამზადონ ეს საგანი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა საგანთან დაკავშირებით - დესტინაციის მენეჯმენტი, დარგობრივად თუ არის რამე ტერმინი შეთანხმებული და დამკვიდრებული ტერმინის -დესტინაციის გამოსახატავად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგადად ტურიზმის სფეროს უჭირს ტერმინოლოგიის საკითხებში, თუმცა ეს ტერმინი საკმაოდ დამკვიდრებული და ხშირად გამოყენებადია, ისევე როგორც ტერმინი მენეჯმენტი. ხდება ხოლმე ტურიზმში არქართული ტერმინების გამოყენება, ეს უკვე დამოკიდებულია უნივერტეტზე რომელ ტერმინს დაამკვირდებს და აკრძალვა არ გვაქვს.

ასევე, საქართველოში იქმნება დესტინაციის მართვის ორგანიზაციები. ასე, რომ ეს ტერმინი რელევანტურია და მკიდრდება.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ მოთხოვნა როგორც ჩანს პროგრამაზე იკლებს და რთულია პროგნოზირების გაკეთება. როგორ ფიქრობენ რამდენად მზად იქნება პროგრამა და გაუძლებს გამოწვევებს. ასევე, როგორ გეგმავენ ამ კვლევის შემცირებას და სტუდენტების მოზიდვას. სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია პროგრამაზე და მიზეზი თუ იციან და რა სამოქმედო გეგმა აქვთ. ასევე, საბჭოს წევრმა გამოყო მეორე საკითხიც და აღნიშნა, რომ ტურიზმის პროგრამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცოდნასაც, აქვთ პროგრამაში საგანი მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო, პრინციპულად განსხვავებულია რას დავარქმევთ საგანს საქართველო და მსოფლიო ცივილიზაციები თუ მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო. თუ საგანს ერქმევა მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო მაშინ არსებულ სილაბუსში წყობა უნდა იყოს განსხვავებული, ხოლო თუ ერქმევა საქართველო და მსოფლიო ცივილიზაციები შეიძლება სილაბუსი დარჩეს იმ ფორმით, როგორც

არის, მაგრამ საჭიროებს მცირე შესწორებების შეტანას, შესაბამისად მისი რჩევა იქნება გადახედონ ამ საგანს და სილაბუსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით იკვლევენ მიზეზებს სისტემატურად, უშალოდ ეკონტაქტებიან სტუდენტებს, უმეტეს შემთხვევაში საფასურის გადახდის შეუძლებლობაა მიზეზი, ასევე, ოჯახური მდგომარეობის ცვლა გახდა მიზეზი ექვს შემთხვევაში. ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალი იყო სტუდენტის სტატუსის აღდგენის მონაცემები. ასევე, ტურიზმის პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ გაიარეს ავტორიზაციის პროცესი სადაც გამოიკვეთა რჩევა, რომ გაეძლიერებინათ პროგრამის რეკლამირება. ახლა უკვე მოიძიეს თანხები, გაზარდეს ინტერნაციონალიზაციის დონეც და თანხების ნაწილი მიმართული იქნება რეკლამაზე. იმედი აქვს, რომ ამ პრობლემას თავს დაადლწევნ.

საბჭოს წევრმა მანანა კველიშვილმა დაუსვა კითხვა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ აგრარული სფერო დიდ მოთხოვნას უყენებს ტურიზმის მიმართულებას, ხომ არ გეგმავენ თუნდაც არჩევით საგნებში აგროტურიზმის დამატებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აუცილებლად, ეკოტურიზმი უკვე აქვთ დამატებული და აგროტურიზმსაც დაამატებენ, ამისთვის აქვთ პარტნიორ უნივერსიტეტთან მოლაპარაკებები და რა თქმა უნდა, ამ საგანს გადმოიტანენ და მოარგებენ საქართველოს რეალობას.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ტურიზმს ვუყურებთ ვიწროდ და არა გლობალურად, ტურიზმი არის კომპლექსური მიდგომა ქვეყნის. ასევე ისაუბრა მის რჩევებზეც პროგრამის განვითარებისთვის, კერძოდ, სავალდებულო საგნებში აუცილებლად დასამატებელია პროექტების მართვა, წარმოდგენელია ამის გარეშე ტურიზმის სფერო, მნიშვნელოვანია მმართველობითი აღრიცხვის დამატებაც, ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსს გაეცნო და სილაბუსი გადასახედია, რადგან უფრო ტურიზმზე ორიენტირებული, რომ იყოს აუცილებელია. არჩევით საგნებში აქვთ რისკების მართვა, ეს საგანი აუცილებლად უნდა გადმოვიდეს სავალდებულოში და სილაბუსი არის ხელახლა შესადგენი, რადგან ძირითადად ფინანსურ რისკებზეა და არა ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებულ რისკებზე. ქვეყნის ბრენდინგის თვალსაზრისით სწავლება ძალიან კარგი იქნება, ასევე სამედიცინო ტურიზმზე აქცენტი, სპორტული ტურიზმი, თუ ყველა ამ საგანს ვერ დაამატებენ კარგი იქნება ერთი საგანი მაინც, რომელიც მოიცავს ტურიზმის ძირითად მიმართულებებს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ კომპლექსური ხედვა. საქართველო დღემდე იყენებს პასიური ტურიზმის კონცეფციას, ანუ არ ვთავაზობთ ინოვაციურ სერვისებს ტურისტებს, მაგალითად როგორც ჩვენი მეზობელი თურქეთი მოქმედებს აგრესიული ტურიზმით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:20

დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

- საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 სტანდარტი ნაცვლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

ა) პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმიჯნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან. დარგობრივი ინგლისური კი გამოიყოს, როგორც ცალკეული სასწავლო კურსი“;

ბ) რეკომენდირებულია სავალდებულო საგნებს დაემატოს პროექტების მართვა, მმართველობითი აღრიცხვა, ასევე, გადაიხედოს ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსი და მეტად ორიენტირებული გახდეს ტურიზმის სფეროზე. საგანი რისკების მართვა არჩევითი საგნების ნაცვლად გათვალისწინებულ იქნას ძირითად საგნებში და გადაიხედოს სილაბუსი ტურიზმის სფეროში არსებულ რისკებზე მეტი კონცენტრაციისთვის. ასევე, პროგრამას დაემატოს საგანი, რომელიც მოიცავს ტურიზმის ძირითად მიმართულებებს (მაგ: სამედიცინო ტურიზმს, სპორტული ტურიზმს);

გ) გადაიხედოს საგანი-მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო და სათაურის რელევანტურად ჩამოყალიბდეს საგნის სტრუქტურა და შინაარსი;

დ) გადაიხედოს საგანი- რელიგიის ისტორია და შესაბამისობაში მოვიდეს საგნის სათაური და შინაარსი ერთმანეთთან.

რჩევა:

სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა დატოვა სხდომა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 საკითხების განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

4. მეოთხე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირების“ სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 24 ოქტომბრის N192 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0159, ირინა ენუქიძის ქუჩა N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კო

თვითაცილება განაცხადა- დიმიტრი გეგენავამ

თვითაცილების საფუძველი: ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა განმარტა, ყველა გაცემული რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს რეკომენდაციებისთვის და განაცხადა, რომ მზად არიან სტუდენტების მისაღებად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:58

დასრულების დრო: 18:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:


აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 პუნქტისა და 2¹¹ საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

სხდომის მდივანი

თიკანაშვილი ნიკა

